ქუთაისის სამეცნიერო ბიბლიოთეკის წელიწდეული
ANNUAL OF KUTAISI SCIENTIFIC LIBRARY

VI 2014

გიორგი მელანაშვილი

ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის ზოგიერთი საკითხი

შესავალი

20 წელიწადზე მეტი გავიდა მასშტაბური რეფორმირების სათავიდან, რასაც დაექვემდებარა სახელმწიფოსა და საზოგადოების ყველა საქმიანობის სფერო, მათ შორის დანაშაულის პრევენციის სისტემები, რომლის მიღწევები და ეფექტურობა თავის დროზე აღიარებულია საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ. ტრანსფორმაციის შედეგად სისტემამ მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა და ბევრი რამ უკვალოდ დაიკარგა. რეფორმირების პროცესი დღესაც გრძელდება. უკვე სახელმწიფო დონეზე ხდება იმის აღიარება, რომ არ იყო საჭირო მუშა და ეფექტური მექანიზმების საფუძვლიანი შეცვლა, ალტერნატიული საშუალებების შეთავაზების გარეშე. ამასთანავე, სიჩქარე გამომჟღავნდა არა მხოლოდ დანაშაულთან ბრძოლის ძველი პრევენციული მეთოდების უარყოფისას, არამედ ახალი გარდამავალი სამართლებრივი წყაროების შემუშავებისას, რაც გამოიხატა მრავალი ნორმატიული აქტის არასათანადოდ მომზადებაში. შედეგად, დაგროვდა ურთიერთგამომრიცხავი ნორმატიული აქტები სხვადასხვა კანონმდებლობაში, რომლებიც არეგულირებენ მსგავს ურთიერთობებს, რამაც გამოიწვია გაუგებრობები კონცეპტუალურ აპარატში. აღნიშნული სრული მნიშვნელობით ეხება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებს, მათ შორის ამ სფეროს დანაშაულის პრევენციის ნაწილში.

განსაკუთრებით პრობლემურია ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებულ უკანონო სამეწარმეო საქმიანობასთან ბრძოლის საკითხი. საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკა დღესაც აწყდება ამ სახის დანაშაულს. ამ მიმართულებით უკანონო საექიმო, ფარმაცევტული და სამეწარმეო საქმიანობისა და ყალბი დოკუმენტების დამზადება-გამოყენების ფაქტებზე საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური ახორციელებს გამოძიებას. როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, დამნაშავეები უკანონო საექიმო და ფარმაცევტული საქმიანობის შენიღბვის მიზნით, სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში წარადგენენ ოფიციალური ორგანოების ყალბ დასკვნებს, რომელთა თანახმად, თითქოს მათ მიერ შემუშავებული სამკურნალო პროდუქტი გამოცდილი იქნა და დადებითი შედეგი მიიღო. როგორც მორფოლოგიური ინსტიტუტიდან გამოძიებას ეცნობა რეალურად მსგავსი სამედიცინო კვლევა პროდუქტზე არ ჩატარებულა და დასკვნის შინაარსი არ შეესაბამება სინამდვილეს. კუსტარული მედიკამენტებით დამნაშავეები მაო იმედად მყოფ აღამიანებს ატყუებენ. აღნიშნული პროდუქტის ნაწილს დამნაშავეები

ელემენტარული ჰიგიენური და სამედიცინო წესების დარღვევით, კუსტარული წესით ამზადებენ.

ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობა ორმაგი საშიშროების მატარებელია. ამ საქმიანობამ შეიძლება გამოიწვიოს სიცოცხლის მოსპობა ან ჯანმრთელობის დაზიანება. აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს აბსტრაქტული საფრთხის დელიქტს, რადგან პირი თავისი მოქმედებით ქმნის საშიშროებას მოსახლეობის სიცოცხლისათვის.

ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის პრევენციის პრობლემატიკა.

ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია შემდეგი საკითხები:

1.სამეწარმეო საქმიანობის სფეროში დანაშულის ჩადენა დაკავშირებულია დიდი რაოდენობით ორგანიზაციების გამოყენებასთან სხვადასხვა ორგანიზაციულ-სამართლებრივი და საკუთრების ფორმებით. დღესდღეობით შექმნა ან შეძენა მსგავსი კომპანიებისა არ წარმოადგენს პრობლემას. ამიტომ მნიშვნელოვან როლს იძენს ნორმატიული აქტების კონტროლი, რომელიც ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებულ უკანონო სამეწარმეო საქმიანობაზე გავრცელდება;

2. სამეწარმეო დანაშაულობა წარმოადგენს ნეგატიურ მოვლენას, რომელიც არსებობს არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში, არამედ ყველა ქვეყანაში, სადაც კი წარმოებს სამეწარმეო საქმიანობა. ამდენად, დანაშაულის გამაფრთხილებელი პროფილაქტიკური ღონისძიებები სამეწარმეო საქმიანობის სფეროში, ასევე მიზეზებისა და პირობების საფუძვლიანი და თავისდროული ნეიტრალიზაციის გამოვლინებები, უნდა განიხილებოდეს ერთ-ერთ უმთავრეს მიმართულებად პრევენციულ საქმიანობაში, როგორც სახელმწიფო (სამართალდამცავი და მაკონტროლებელი) ორგანოების, ასევე, კერძო საწარმოების უსაფრთხოებისა და შიდა აუდიტის სტრუქტურების მიერ;

3. სამეწარმეო დანაშაულობის პრევენციის ეფექტურობა დამოკიდებულია მის შესახებ ცოდნის სიღრმესა და ხარისხზე, მისი მიზეზების არსებითი მახასიათებლების შემეცნებაზე. მიუხედავად ამ დანაშაულის მადეტერმინირებელი ფაქტორების და მიზეზების სიმრავლისა, არსებობს რამდენიმე ძირითადი. ეს ძირითადად არის ის მიზეზები, რომლებიც კავშირშია ქვეყანაში მეწარმეობის საერთო მდგომარეობასა და ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში არსებული სამეწარმეო საქმინობის მახასიათებლებთან. მიზეზებს განეკუთვნება, ასევე, მოქმედი კანონმდებლობის ნაკლოვანებები და სამართალდამცავი და მაკონტროლებელი ორგანოების საქმიანობის ხარისხი, დაბალი სამეწარმეო კულტურა და ბიზნესის სოციალური ორიენტაციის არარსებობა;

4. ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის პრევენცია მოიაზრებს არამარტო მის გამომწვევ მიზეზებსა და პირობებზე ზემოქმედებას, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანოების სისტემის შექმნით, რომლებიც იქნებიან ურთიერთზემოქმედების ქვეშ და ქმედითი ღონისძიებები მიმართული იქნება დანაშაულისა და მისი შემადგენლობის მინიმიზაციისა და

ნეიტრალიზაციისკენ, არამედ, ასევე, იმ დამნაშავეთა პიროვნებების დეკრიმინალიზაციას, რომლებიც ჩადიან დანაშაულს აღნიშნულ სფეროში. დღესდღეობით ასეთი სრულყოფილი სისტემა ბოლომდე შექმნილი არ არის, მიუხედავად არსებითი აუცილებლობისა;

5. სამეწარმეო დანაშაულობის პრევენციული სისტემის შექმნისას გამოყენებული უნდა იყოს, არა მხოლოდ ხარისხობრივად ახალი პარამეტრები (ეკონომიკური თავისუფლება და საბაზრო ურთიერთობების განვითარება, ანტიკრიმინალური სტრატეგიის გადალახვა და წარსული გამოცდილების გამოყენება გონივრულ ფარგლებში, ადამიანის უფლებების დაცვა და საკუთრების უფლების პრიორიტეტები, კონკურენტუნარიანობა, სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოების გამოცდილებისა და შრომის გამოყენება და ასევე სხვა სუბიექტების, რომლებიც თამაშობენ როლს სამეწარმეო დანაშაულობის პრევენციის საქმეში), არამედ ამ ტიპის დანაშულზე არსებული პრობლემების პრევენციული ზემოქმედების ღრმა და ყოველმხრივი სამეცნიერო ანალიზი.

6. პრაქტიკულად შეუსწავლელი დარჩა ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის მიზეზები, განსაკუთრებით ისეთები, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზაციების დაბალ კორპორატიულ და სამეწარმეო კულტურასთან და მათ სუსტ სოციალურ ორიენტაციასთან. გარდა ამისა, მეწარმეობა, როგორც ეკონომიკის სტრუქტურული ელემენტი, წარმოადგენს მის მეტად მობილურ ნაწილს, რომელიც ექვემდებარება მუდმივ ცვლილებებს. ასეთი ცვლილებები ხდება საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, სადაც კი შესაძლოა შეაღწიოს მეწარმოებამ, რაც გარდაუვალია საბაზრო ეკონომიკის პირობებში. სახელმწიფოც კი, თავისი მოუქნელობის მიუხედავად, უფრო და უფრო ხშირად მონაწილეობს სამეწარმეო საქმიანობაში, ქმნის რა სახელმწიფო კორპორაციებსა და საწარმოებს. ეს გარდაუვალს ხდის ახალი ურთიერთობების აუცილებლობას, რაც საჭიროებს სამართლებრივ რეგულირებას, მათ შორის სისხლის სამართლებრივი დაცვის კუთხით. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სამეწარმეო დანაშაულობის პრევენციის მიმართ ახალი მიდგომების ჩამოყალიბების აუცილებლობა და, ასევე, ამ ტიპის მართლსაწინააღმდეგო ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლის თანამედროვე პირობებთან მისადაგებული თეორიული საფუძვლების ჩამოყალიბება;

7. აქტუალურია ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის მიზეზების კვლევის მნიშვნელობა. ამ კვლევის მიზანს წარმოადგენს სამეწარმოე დანაშაულობის თეორიული და თანმდევი საფუძვლების კომპლექსური დამუშავების და ამ საფუძველზე სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისა და მისი პრაქტიკული გამოყენების კუთხით რეკომენდაციების შესამუშავებელი გზების დასახვა და მათი აუცილებლობის დასაბუთება. კერძოდ, საჭიროა:

• თანამედროვე ეკონომიკური სიტუაციის ანალიზი, სამეწარმეო დანაშაულობის განვითარებაზე მისი გავლენის ხასიათისა და ხარისხის იდენტიფიცირება;

• სამეწარმეო დანაშულობის ადგილის განსაზღვრა ეკონომიკური დანაშულების და მთლიანად დანაშულობის სტრუქტურაში;

• სამეწარმეო საქმიანობის არსის ეკონომიკური და იურიდიული ასპექტების შესწავლა;

• სამეწარმეო საქმიანობასთან დაკავშირებული დანაშაულობების გამოვლენა და სისტემატიზაცია, მათი კლასიფიკაციისა და ტიპოლოგიის განსაზღვრის გზით;

• სამეწარმეო დანაშაულობის შემადგენლობის ანალიზი;

• ორგანიზებული სამეწარმეო დანაშაულობის ფენომენის გამოკვლევა;

• სამეწარმეო დამნაშავის პიროვნების ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრა და ამ ტიპის დამნაშავეთა ცალკეული ინდივიდების თავისებურებების და მათ შორის განმასხვავებელი ნიშნების დადგენა და ანალიზი;

• სამეწარმეო დანაშაულობაში იურიდიული პირების სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენის შესაძლებლობების გამოვლენა;

• სამეწარმეო დანაშაულობის მსხვერპლის შესწავლა;

• სამეწარმეო დანაშაულობის მიზეზობრიობის კომპლექსური ანალიზი;

• სამეწარმეო სფეროში დამნაშავეობაზე სამეწარმეო კულტურის გავლენის დონის შესწავლა;

• სამეწარმეო დანაშაულობაზე პრევენციული ზემოქმედების საერთო სოციალური და სპეციალური ზომების ანალიზი;

• სამეწარმეო სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული ბაზის შესწავლა და ურთიერთგამომრიცხავი რეგულაციების იდენტიფიცირება;

• სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფის და მისი პრაქტიკული გამოყენების კუთხით რეკომენდაციების მომზადება;

• საკვლევი ობიექტის განსაზღვრა, სამეწარმეო დანაშაულობის მდგომარეობის, მისი დინამიკის, სტრუქტურისა და გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება, დამნაშავის პიროვნების დახასიათება;

8. კვლევისას გამოყენებულ უნდა იქნეს შემეცნების თეორიული და ემპირიული მეთოდები, რამაც უნდა მოგვცეს საშუალება, ავსახოთ თეორიისა და პრაქტიკის ურთიერთკავშირი, დავადგინოთ შესასწავლი ობიექტის ფორმა და შემადგენლობა, ასევე, განსახილველი სოციალურ–ეკონომიკური და სამართლებრივი გამოვლინებების დინამიკის განვითარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი ცვლილებები. თეორიულ დონეზე გამოიყენება, როგორც ისტორიული, სოციალურ–ფსიქოლოგიური, ფილოსოფიური სწავლებების ანალიზი და სინთეზი, ასევე სისხლის სამართლებრივი და კრიმინოლოგიური შემეცნება, რითიც უნდა აიხსნას და დასაბუთდეს სამეწარმეო დანაშაულობის ურთიერკავშირი ქვეყანაში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სამართლებრივი ცხოვრების ცვლილებებთან.

კვლევისას, როგორც წესი, გამოიყენება სხვადასხვა სპეციალური მეთოდი: სტატისტიკური – სამეწარმე დანაშაულობის რაოდენობრივი მახასიათებლების შესასწავლად; კრიმინოლოგიური – სამეწარმეო დანაშაულობის მდგომარეობის, მისი დინამიკის, სტრუქტურის ანალიზისთვის და თავისებურების ასახსნელად; ასევე, სამეწარმეო საქმიანობის სფეროს კონცეპტუალური აპარატის შედარებით მთლიანად ეკონომიკური დანაშულობის კონცეპტუალურ აპარატთან, თავად სამეწარმეო დანაშაულობის გაგებისა და მისი შემადგენელი ელემენტების ფორმირება; დოკუმენტაციის შესწავლა და სისხლის სამართლის კონკრეტული

საქმეებისა და მათთან დაკავშირებული მასალების შინაარსობრივი ანალიზი, ასევე ისტორიული და თანამედროვე დოკუმენტების შესწავლა, ექსპერტული შეფასების მეთოდი – კრიმინოგენული სიტუაციის განვითარების შესახებ კრიმინოლოგიური პროგნოზირების გზით.

დასკვნა

ფარმაცევტული პროდუქტისა და სამკურნალო საშუალებათა ბრუნვასთან დაკავშირებული უკანონო სამეწარმეო საქმიანობის კრიმინოლოგიური ასპექტების შესწავლა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ეს შედარებით ახალი გაგებაა კრიმინოლოგიის დარგში; არ არსებობს ამ მიმართულებით კომპლექსური კვლევის მაგალითები, აღნიშნული მიეკუთვნება ლატენტურ დანაშაულობათა რიცხვს და იშვიათად გამოიყენება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომები, დაბალია სამეწარმეო და კორპორატიული კულტურა ორგანიზაციებში, ორგანიზაციების უმრავლესობაში არის შიდა რეგულაციებისა და კონტროლების ნაკლებობა, საბაზრო ეკონომიკის პრინციპებიდან გამომდინარე; არ არსებობს ან სუსტია სახელმწიფო კონტროლი და ზედამხედველობა.

დამოწმებული ლიტერატურა

Beare M., Schneider S. Money Laundering in Canada: Chasing Dirty and Dangerous Dollars Publisher: University of Toronto Press. 2011

Cohen N., S.Mizrahi, F.Yuval. *Black market Medicine* and Public Opinion Towards the Welfare State: Evidence from Israel. Social Policy and Administration, Volume 46, Number 7, 1 December 2012, pp. 727-747(21)

Combating Piracy: Intellectual Property Theft and Fraud (Edited By Jay S. Albanese).Published New Jersey. 2009;

Combating Piracy: Intellectual Property Theft and Fraud: Transaction Publishers (J. Albanese), New Brunswick, NJ, 2009;

Julia P.,N. Deon, A.Stewart. Reaching and influencing consumers in the prescription *medicine market.* Marketing Intelligence & Planning, Volume 27, Number 7, 2009, pp. 909-925(17)

GIORGI MELANASHVILI

ON SOME ISSUES OF THE ILLEGAL BUSINESS ACTIVITIES RELATED TO THE DISTRIBUTION OF PHARMACEUTICAL COMMODITIES

The study describes several issues related to illegal economic activities derived from distribution of pharmaceutical means and medicines. The analysis is made of actuality and problems encountered during preventive activities of business and economic crimes. The study presents methods of fighting with business crime, its specifics and importance. The proofs are presented which emphasize the necessity of study related to illegal economic activities derived from distribution of pharmaceutical means and medicines, at the same time, the particular technical and theoretical recommendations are given. The study offers criminal concept of business crime on the basis of example of illegal economic activities derived from distribution of pharmaceutical means and medicines, which represents the system of criminal studies related to business crime, rule of its development, reasons of its existence and means to affect it.

New criminal category, special form of crime – business crime or crime in the sphere of business, is offered to be introduced due to highly spread instances and huge public threat.